პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 დეკემბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 238 (9649) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ-აშშ: გავამართლოთ მსოფლიოს ხალხთა იმედები

ვაშინგტონი. (საქინფორმი, 8 დეკემბერი). ფანფარებისა და დოლის ხმამ თეთრ სახლში ყველას აუწყა, რომ დაიწყო ორი კლასის ბირთვული იარაღის — საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ საბჭოთა კავშირ—ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერის საზეიმო ცერემონია.

მ. ს. გორბაჩოვი და პრეზიდენტი რ. რეიგანი, რომელიც მას თეთრი სახლის შესასვლელთან დახვდა, ადიან წითელ სასტუმრო ოთახში და მიემართებიან აღმოსავლეთის დარბაზისაკენ.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელები მიემართებიან მაგიდისაკენ, რომლის გვერდით აღმართულია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშები. ისინი ხელს აწერენ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ—დოკუმენტს, რომელიც კეთილი ნების, ახალი პოლიტიკური აზროვნების დასტურია. იგი თანაბრად სჭირდება როგორც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე მთელ პლანეტაზე საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებასაც.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის საუბარი.

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ.). ხუთშაბათს მ. ს. გორბაჩოვი ვაშინგტონიდან გამოემგზავრა. ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი ოფიციალურ ვიზიტად იყო.

20 საათი ადგილობრივი დროით. ენდრიუსის აეროპორტში აღმართულია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშები. საფრენ მოედანზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. გაისმის საარტილერიო სალუტი-21 ზალპი.

თვითმფრინავთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და მისი მეუღლე გამოაცილეს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა და მისმა მეუღლემ, თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა.

ბერლინი, 11 დეკემბერი (საქინფორმი). დღეს ბერლინში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ფ. ახრომეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ს. ჩერნიაევი.

მივესალმებით, გვიხარია...

განიარაღების გზაზე ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენაა მსოფლიოს ხალხებისთვის, მაგრამ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეთანხმება საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის შესახებ ჭეშმარიტად ისტორიული ფაქტია.

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და კარგად ვიცი, როგორ ესწრაფვიან ყველგან ადამიანები მშვიდობას. სპორტული შეჯიბრებები, სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრები ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას. ეს სპორტის ერთ-ერთი ძირითადი მისიაა. ტყუილად როდი უწოდებენ სპორტს მშვიდობის ელჩს. საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ხელშეკრულების დადებას ჩვენც, სპორტსმენებიც დიდი აღფრთოვანებით შევხვდით.

სულით და გულით მივესალმებით შეთანხმებას, რომლის მიზანია ჩვენს პლანეტაზე ბირთვული ომის თავიდან აცილება.

ლერი ხაბელოვი,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.



თბილისის 183-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ხათუნა აფაქიძემ ამ დღეებში მხატვრულ ტანვარჯიშში თბილისში გამართულ პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო ჩემპიონატში გაიმეორა სპორტის ოსტატის ნორმატივი, რაც კლასიფიკაციით აუცილებელი მოთხოვნაა ამ წოდების მინიჭებისათვის.

სურათზე: ხათუნა აფაქიძე.
(ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო).

მეტი საჯაროობა

საჯაროობა და გარდაქმნა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. გარდაქმნის ახალ ეტაპზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საჯაროობა და დემოკრატია, რომელიც ესოდენ საჭირო და აუცილებელია დღეს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში ბოლო ხანს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, ყველა რგოლში საქმიანობის გარდაქმნისათვის კი ჯერ ისევ დიდი მუშაობა გვმართებს. კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა. როცა ამა თუ იმ უბანზე ხელმძღვანელს დემოკრატიული პრინციპით ირჩევენ. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, ამ კარგმა თაოსნობამ დღემდე ვერ მიიღო ისეთი ფართო ხასიათი, როგორც ეს სასურველია. ხომ არ შეიძლება, ვთქვათ, ვუცადოთ, როდის მიგვითითებს რესპუბლიკის სპორტსახკომი ან საქართველოს პროფსაბჭოს შესაბამისი რგოლის ხელმძღვანელობა? ადგილებზე ამ მხრივ ნაკლებად იჩენენ ინიციატივას, არადა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ხელმძღვანელის არჩევითობა რადიკალურად ცვლის საქმიანობას ამა თუ იმ უბანზე, ადამიანები მეტ აქტიურობას იჩენენ იმ ხელმძღვანელთან, რომელიც მათ მიერვეა არჩეული. ეს კი საქმიანობის სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის აუცილებელი პირობაა. ავიღოთ თუნდაც სპორტული ბაზა. იქაც კი, როცა ხელმძღვანელს კოლექტივი ირჩევს, სულ სხვაგვარად, ე. ი. უკეთესობისკენ მიდის საქმე. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სპორტსკოლის, ნაკრები გუნდის, ზემდგომ ხელმძღვანელ რგოლში მთავარი მწვრთნელის თუ განყოფილების ან სამმართველოს უფროსის არჩევა. საჯაროობა სადღეისო მოთხოვნაა. საჯაროობა გარდაქმნის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ ყოველნაირად უნდა წავახალისოთ ეს პროცესი, პრაქტიკული საქმიანობით უზრუნველვყოთ მეტი საჯაროობა.

ელვა-ინფორმაცია

სეულში გამართულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა 7 საბჭოთა სპორტსმენი, რომელთაგან ხუთმა საპრიზო ადგილები დაიკავა. გამარჯვებულთა შორისაა ჩვენი თანამემამულე, ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძე.

ინტერვიზია მსჯელობს

თბილისში დამთავრდა ინტერვიზიაში შემავალი ქვეყნების დელეგაციების შეხვედრა-თათბირი, რომელიც ყოველწლიურად წლის ბოლოს ეწყობა სხვადასხვა ქვეყანაში. ახლანდელი შეხვედრის მიზანი იყო მსჯელობა მომავალი უდიდესი სპორტული ღონისძიებების — ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისა და ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ტელევიზიითა და რადიოთი გაშუქების საკითხებზე. ამ ღონისძიებების ირგვლივ გაიმართა კონკრეტული საუბარი, გარდა ამისა, წინასწარი მსჯელობა იყო ფეხბურთში მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის გაშუქების შესახებ. შეხვედრაში ინტერვიზიის წევრი ქვეყნების გარდა, როგორც დაინტერესებული მხარე, მონაწილეობდა ინგლისის წარმომადგენელი. თბილისში ჩამოსული იყვნენ, აგრეთვე, კუბელი სპეციალისტები.

დღეს

თბილისის სახელმწიფო ცირკის არენაზე

გაიმართება რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქების უბნებს შორის ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრების მორიგი ტური. ასპარეზობას ერთობლივად ატარებენ საქართველოს სპორტსახკომი და ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

დღეს ერთმანეთს ხვდებიან:
ახალსოფელი (ყვარელი) — ტიბაანი (სიღნაღი); გიორგიწმინდა (საგარეჯო) — წილკანი (მცხეთა).
დასაწყისი 12 საათზე.

ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ორი გამოცდა

„ზარია ვოსტოკას“ პრიზის გათამაშების პირველივე შეხვედრებმა ცხადყვეს, ვის რა შეუძლია და ვინ რა მიზნით ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში. თავიდანვე გამოიკვეთა ფავორიტთა ოთხეული: საბჭოთა კავშირის, რუმინეთის (I ქვეჯგუფი), პოლონეთისა და ესპანეთის (II ქვეჯგუფი) ნაკრები გუნდები. ეს კოლექტივები გამოირჩევიან მოთამაშეთა მაღალი ოსტატობით და მოქნილი, თანამედროვე ტაქტიკით. აქტიური დაცვა, მეტოქის შეჩერება კარიდან 10-12 მეტრის დაშორებით, მაღალი და ძლიერი ბლოკი, მეკარეთა საიმედო თამაში, კოლექტიური მოქმედება თავდასხმაში ბომბარდირთა შესაძლებლობების სრული გამოყენებით, მრავალსვლიანი კომბინაციები, მაღალი შედეგიანობა — აი, ყოველივე ის, რითაც ყურადღებას იქცევს ტურ-

იხ. მე-4 გვ.

ხელბურთის კვირეული

ოც წელზე მეტია, რაც თბილისში ტარდება ხელბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. ამ ტურნირში მსოფლიოს ბევრ უძლიერეს ეროვნულ ნაკრებ გუნდს უასპარეზია, რაც მის საკმაო პოპულარობაზე მეტყველებს. წლევანდელი ტურნირიც, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევდა ხელბურთის სპეციალისტებსა და მოყვარულებს შორის, მაგრამ ყველაზე მოუთმენლად მის დაწყებას ჩვენი ქვეყნის ნორჩი ხელბურთელები ელოდნენ. და აი რატომ: **„ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თაოსნობით გადაწყდა, რომ უფროსთა ტურნირის პარალელურად გამართულიყო მოზარდ ხელბურთელთა ტურნირიც გაზეთის „მცირე პრიზებზე“.** და აი, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან ჩამოსულმა ნორჩმა ხელბურთელებმა „თავიანთი“ ტურნირი დაიწყეს. ნორჩთა შეჯიბრებას ატარებენ ხელბურთის ორი სპორტსკოლა, ქალაქის განათლების სამმართველო და პროფკავშირული სპორტსაზოგადოება. შეხვედრები „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში და გლდანის სპორტულ დარბაზებში ეწყობა. უნდა ნახოთ, რა გატაცებით ასპარეზობენ მოზარდები. შემდეგ ისინი სპორტის სასახლის ტრიბუნებზე გადაინაცვლებენ, ქომაგობენ უფროსებს, სწავლობენ ოსტატურად თამაშს. ერთი სიტყვით ახლა თბილისში „ხელბურთის კვირეულია“. კარგი იქნება, თუ სამომავლოდ ამ კვირეულში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოზარდი ხელბურთელებიც ჩაებმებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში

ახალი სახელებით

ბატუტზე მხტომელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელიც პროფკავშირების ძლეოსნობის მანეჟში გაიმართა, ჩვენმა უძლიერესმა სპორტსმენებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს — რუსუდან ხოფერია პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა, ხოლო მიხეილ პელივანიდისი ავად გახდა და რამდენიმე თვე ვერ შეძლებს ვარჯიშს. მიუხედავად ამისა, შეჯიბრება მაინც დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ქალთა შორის (შეჯიბრების სტატუსის გამო გოგონებს ხანდახან ასე მოვიხსენიებთ, თუმცა ისინი ყველანი სკოლის მოსწავლეები არიან) განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრების 14 წლის ანა დოლონაძისა (25-ე სკოლა) და 13 წლის ლია ბენდიანიშვილის (მე-7 სკოლა) ორთაბრძოლამ. საერთოდ, რეიტინგით ანას მცირე უპირატესობა აქვს თავის კოლეგასთან შედარებით. გოგონებმა ახალი რთული პროგრამით იასპარეზეს, რომლის ძირითადი ელემენტი იყო წინ სამმაგი მალაყი ბრუნით. ამ ზერთულ ვარჯიშს ჩვენს ქვეყანაში აქამდე მხოლოდ ორი ბატუტისტი ასრულებდა: რუსუდან ხოფერია და ირინა ლონოვა.

ზაზა აბრამიშვილი.

თბილისის ბატუტზე მხტომელთა გუნდი.

შეჯიბრების პირველი დღე მოულოდნელობების გარეშე დამთავრდა. სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის შემდეგ ანა დოლონაძე, რომელმაც 9,7 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშები შეასრულა, 61,5 ქულით დაწინაურდა. მას კვალში ჩაუდგა ლია ბენდიანიშვილი (9,5 სირთულის კოეფიციენტი) — 60,2 ქულა. მესამე ადგილი ნინო შერმადინმა დაიკავა, თუმცა, ლიდერებს ქულათა რაოდენობით გვარიანად ჩამორჩებოდა. მეორე დღეს ფინალური შეჯიბრების პირველ ვარჯიშში ლიდერებმა კვლავ შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები, ნინო შერმადინი კი დაშავდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მის ადგილზე გადაინაცვლა ინა წიკლაურმა. პირველ მოულოდნელობას მეორე უფრო დიდი მოულოდნელობა მოჰყვა: ანა დოლონაძემ გადამწყვეტი ვარჯიში სუსტად შეასრულა — უხეში შეცდომები მოუვიდა. სამაგიეროდ, კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა ლია ბენდიანიშვილმა, 127,5 ქულა მოაგროვა და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. მეორე ადგილზე გავიდა ანა დოლონაძე — 126,7 ქულა. მესამე იყო ინა წიკლაური — 116,7 ქულა.

ვაჟთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში რუსთავის მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლემ ზაზა აბრამიშვილმა (იგი თბილისის სახელით გამოდიოდა) თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. ფინალში ზაზამ ამ შეჯიბრებაზე ყველაზე მაღალი — 10,8 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშები შეასრულა და 128 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა ზურაბ ბიჩენოვმა (116,5 ქულა), მესამე — გიორგი კაპანაძემ (110,1 — ორივე თბილისი).

სინქრონულ ხტომებში ეჭვს არ იწვევდა საქართველოს სამგზის ჩემპიონების ანა დოლონაძისა და ლია ბენდიანიშვილის წყვილის გამარჯვება (ერთ-ერთი უძლიერესი წყვილია ჩვენს ქვეყანაში). გოგონებმა ქულების დიდი უპირატესობით გაუსწრეს მეორე ადგილზე მყოფ ქუთაისელ ლელა გიგინეიშვილს და ეკა გერაძეს (20,1 ქულა). მესამე ადგილზე გავიდნენ ირინა მიხაილოვა და თამარ სუსუნაიშვილი (18,3 ქულა, თბილისი). სინქრონულ ხტომებში პრიზიორთა შედეგებში ცვლილების შეტანა შეეძლოთ ნინო შერმადინსა და ინა წიკლაურს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნინო დაშავდა და მაყურებლებში გადაინაცვლა. სარბიელზე არ გამოსულა, აგრეთვე, თბილისელთა ერთ-ერთი ძლიერი წყვილი — ინგა მენთეშაშვილი და სვეტლანა გულიაევა. მიზეზი ამ უკანასკნელის ავადმყოფობა იყო.

ვაჟთა სინქრონულ ხტომებში ზაზა აბრამიშვილს პარტნიორობა არამ სააკიანმა გაუწია (მიხეილ პელივანიდისის ავადმყოფობის გამო). მათ, ინდივიდუალური სიძლიერის მიხედვით, გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ორი თვის მანძილზე ერთად ვარჯიში საკმარისი არ აღმოჩნდა. სპორტსმენებმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს და არა მარტო პირველობა დაკარგეს, საპრიზო ადგილების მიღმაც კი დარჩნენ. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ დებიუტანტები — თბილისის 141-ე სკოლის მერვეკლასელი რეზო ხარატიშვილი და მე-16 სკოლის მერვეკლასელი გიორგი გაგუა — 31,5 ქულა. მეორე ადგილი დაიკავეს კახა ქვლივიძემ და რემიკ პოღოსიანმა — 26 ქულა. მესამე ადგილზე გავიდნენ დათო კანდელაკი და ზურაბ ბიჩენოვი — 23,1 ქულა (ორივე — თბილისი).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 489,1; ქუთაისი 270; აჭარა — 113,8, აფხაზეთი — 113,1.

თბილისის გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა, ზაურ სულაშვილმა და ევრაპიდ გალჩევმა.

ჩემპიონატის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ზაურ სულაშვილს.

— შეჯიბრებაში ოთხი გუნდის მონაწილეობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სპორტის ამ სახეობას სათანადო ყურადღება დღემდე არ ექცევა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აჭარამ და აფხაზეთმა ნახევარ-ნახევარი გუნდი გამოიყვანეს, და ისინიც ძალიან სუსტად იყვნენ მომზადებული, სურათი კიდევ უფრო გამუქდება. საპრიზო ადგილების განაწილებაში „დისონანსი" მხოლოდ ქუთაისელთა — ლეილა გიგინეიშვილისა და ეკა გერაძის წყვილმა შეიტანა. საჭიროა პერიფერიების მწვრთნელებმა მკვეთრად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა. დღეს ყველა ჩვენი შეჯიბრება ჭაბუკთა მომავალი საკავშირო თამაშებისთვის უკეთ მომზადებას ემსახურება. გუნდში ოთხი გოგონა და ოთხი ვაჟი იქნება. ვაჟები უკვე შევარჩიეთ, გოგონათა გუნდში კი ერთი ვაკანტური ადგილი გვაქვს. ვფიქრობთ, არჩევანი ქუთაისელ ლელა გიგინეიშვილსა და თბილისელ მზევინარ ომაძეს შორის მოხდება. რაც შეეხება სინქრონულ წყვილთა შორის გამარჯვებულ რეზო ხარატიშვილსა და გიორგი გაგუას, ისინი პერსპექტიული ბატუტისტები არიან და მომავალში მათს სახელებს კიდევ არაერთხელ შევხვდებით.



სინქრონულ ხტომებში გამარჯვებულნი. მარცხნივ — ქალთა წყვილი ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი; მარჯვნივ — ვაჟთა წყვილი რეზო ხარატიშვილი და გიორგი გაგუა.

ჯემალ ქასრაძე.

ლახტის წრეში

სათამაშოს ამღვრეული წყალი

ჩვენი გაზეთის რედაქციაში ასობით წერილი შემოდის, რომელთა ავტორებიც ჩივიან, რომ არა აქვთ ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. როგორც წესი, ჩვენ ამ წერილებს უყურადღებოდ არ ვტოვებთ. სამწუხაროდ, ასეთი შინაარსის წერილები კლების ნაცვლად უფრო და უფრო მატულობს. მოსახლეობა გვთხოვს დავეხმაროთ მოედნების მოწყობის საქმეში. ალბათ დადგა დრო, რომ ამ საკითხებზე ვინმემ კონკრეტულად აგოს პასუხი. მხედველობაში არქიტექტორები და მშენებლები გვყავს. ასე კატეგორიულად საქმის დაყენების უფლებას გვაძლევს 20 წლის წინ გამოცემული სსრ კავშირის სახმშენის 28 აპრილის № 65 დადგენილება, სადაც გარკვევით წერია, რომ ქალაქების იმ მიკრორაიონებში, სადაც განაშენიანება და რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, სპორტული ობიექტების მშენებლობა სავალდებულოა. ალბათ საჭიროა, ამ დადგენილების მიღების საიუბილეო წელს მაინც გაგვიმარტონ შესაბამისმა ორგანიზაციებმა, რატომ ირღვევა ეს კანონი, რა უშლით ხელს არქიტექტორებს და მშენებლებს, სახელმწიფოს ესოდენ დიდ ზრუნვას ხორცი რომ შეასხან.



ამით საჩივრების წერის უსიამო პროცესსაც გადავრჩებით და იმ ჭორებსაც მოვუღებთ ბოლოს — მშენებლები სპორტული მოედნებისთვის გამოყოფილ თანხას სხვა უფრო „პრაქტიკული" დანიშნულებით იყენებენო.

ახლა კი ამ არცთუ სასიამოვნო უვერტიურის დაწერის მიზეზსაც შევეხოთ. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ წერილი კვლავ ღია სპორტული მოედნების მოწყობას ეხება. იგი პავლოვის ქუჩის № 34-ა კორპუსის მცხოვრებლებმა გამოგვიგზავნეს:

„ჩვენი ბინა 1979 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. ჩვენს გვერდით კიდევ ორი ცხრასართულიანი კორპუსი დგას, სადაც 144 ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ არა გვაქვს სათამაშო მოედანი. ამაზე ალბათ ხმასაც არ ამოვიღებდით, მოედნის მოწყობის საშუალება რომ არ იყოს. ჩვენს კორპუსსა და კინოთეატრ „მშენებელს" შუა საკმაო ადგილია საამისოდ, მაგრამ არავინ იწუხებს თავს. შარშან საშენ მასალათა კომბინატმა გადაწყვიტა თავისუფალი ადგილი მანქანების სადგომად გამოეყენებინა. საკმაო რაოდენობის ხრეშიც შემოზიდეს, მაგრამ მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა და იძულებული გახდნენ მუშაობა შეეწყვიტათ. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რატომაა ასე ადვილი ავტოსადგომების მოწყობა, მაშინ, როცა სპორტული მოედნის მოწყობა პრობლემაა?

როგორც იტყვიან, ეს კითხვა „არ ახალია, ძველია". გადავწყვიტეთ ამ კითხვით კონკრეტული ადრესატისთვის მიგვემართა. მოვუსმინოთ ორჯონიკიძის რაიონის საბინაო საექსპლოატაციო ტრესტის მმართველს დევი აგლაძეს.

— ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობისთვის და მოედნის მოსაწყობად ბინის ქირის სამ პროცენტს ვიყენებთ, ეს თანხა კი მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, რომ რაიონში არსებულ 24 სპორტულ მოედანს რემონტი გავუკეთოთ. მაგრამ არსებობს მოედნების მოწყობის სხვა გზაც — საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით კაპრემონტის დროს დასაშვებია თანხის გამოყოფა ახალი მოედნების მოსაწყობადაც.

⊙ რამდენ წელიწადში ერთხელ სჭირდება ბინებს რემონტი?

— ბინის კაპრემონტი, დღემდე არსებული წესის თანხმად, ათ წელიწადში ერთხელ უნდა კეთდებოდეს.

⊙ ესე იგი, 8 წლის ბავშვი სანამ სტუდენტი არ გახდება, საკუთარ ეზოში ვერ ითამაშებს?

— გამოსავალი ერთია — ბინების მშენებლობის დროს თავიდანვე უნდა მოეწყოს მოედნები, მითუმეტეს, რომ კანონით ეს გათვალისწინებულია. შემიძლია დაგისახელოთ ცხრა ადგილი, სადაც შეიძლება მოეწყოს მოედნები. მაგრამ, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სამწუხაროდ, უმოქმედოდ ვართ. დღესდღეობით პერსპექტივაშია მხოლოდ ორი მოედნის მოწყობა — ბარნოვის ქუჩის 21 ნომერში და თქვენთან შემოსული საჩივრის მისამართზე — პავლოვის 34-ში. პროექტები უკვე მზად არის და ალბათ მომავალი წლიდან შევუდგებით მშენებლობას.

ახლა კვლავ ჩვენი წერილის შესავალში აღძრულ პრობლემას დავუბრუნდებით და კიდევ ერთხელ ვთხოვთ შესაბამის ორგანიზაციებს დაგვეხმარონ დასმული საკითხის გადაჭრაში. დარწმუნებულები ვართ, სპეციალისტები ნათელს მოჰფენენ იმას, თუ რა პრინციპით ხდება, რომ ზოგ ადგილას ეწყობა მოედნები, ზოგან კი არა. და კიდევ ერთიც, რატომ უნდა გამოასწოროს ბინების კაპიტალური რემონტის სამმართველომ არქიტექტორებისა და მშენებლების მიერ ნებით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები?

ჯემალ ქახრაშვილი.

ბოლო ეტაპი

ვანი (ტელეფონით). დამთავრდა მრავალდღიან ველორბოლაში პროფკავშირების ღია პირველობა. VII, ბოლო ეტაპის (ვანი-ლანჩხუთი-მახარაძე და უკან) სიგრძე 125 კილომეტრი იყო. მანძილი ყველაზე სწრაფად არმიელმა (თბილისი) ნუგზარ კაკალაშვილმა გაიარა — 3:42.00. ასეთივე შედეგი ჰქონდათ დინამოელ თემურ გიგოლაევს, რომელსაც მეორე ადგილი მიეკუთვნა. და ვახტანგ პაპუაშვილს (ასკ, თბილისი) — III ადგილი.

VII ეტაპის ჯამში პროფკავშირების ღია პირველობა მრავალდღიან ველორბოლაში ვასილ დავიდენკომ (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება) მოიგო — 11:58.46. მომდევნო ადგილებზე არმიელი სპორტსმენები მამუკა გვარაძე (11:58.58) და ხვიჩა ბარბაქაძე (12:02.01) გავიდნენ.

„ლელოს" კორ.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

მომავლის იმედით

უეფა-ს თასი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 9 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი, სსრ კავშირი) — „ვერდერი“ (ბრემენი, გფრ) 1:1 (1:0).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, რევიშვილი (ფანცულაია, 67), სვანაძე, სულაქველიძე, ქეცბაია (კორძალიძე, 62), გურული, შენგელია.

„ვერდერი“: რეკი, შააფი, ოტენი (ბურგსმიულერი, 53), ბრატსეტი, კუტცოპი, ბოროვკა, ჰერმანი, ვოტავა, რიდლე (რულენდერი, 89), ვოლტერი, ორდენევიცი.

მსაჯი ბ. კარლსონი (შვეცია).

80 000 მაყურებელი.

გააფრთხილეს ცვეიბა, ბოროვკა.

საყოველთაოდ მიღებული საფეხბურთო კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ, უეფა-ს თასის მერვედფინალში წილისყრამ ერთობ უთანაბრო ძალის მეტოქეები დააწყვილა. ერთის მხრივ, საერთაშორისო ფეხბურთში დიდად პრესტიჟული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის ლიდერი და მეორეს მხრივ — თბილისის „დინამო“, რომელმაც განვლილ საკავშირო ჩემპიონატში მხოლოდ გათამაშების ფინიშზე შეძლო თავი ეხსნა პირველ ლიგაში ჩამოქვეითების ფრიად უსიამოვნო პერსპექტივისგან. „ვერდერის“ აქციებმა განსაკუთრებით მას მერე აიწია, როცა მან მოსკოვში „სპარტაკთან“ უიმედოდ წაგებული მატჩის შემდეგ შინ საოცარი რევანშის აღება შეძლო. ელემენტარული ლოგიკა ამ შემთხვევაში მეტყველებს: საცა ჩვენმა ჩემპიონმა ვერ გაუძლო ესოდენ ძლიერ გუნდს, მე-13 ადგილზე მყოფ თბილისელებს, წარმატების აბსოლუტურად არავითარი შანსი არ უნდა ჰქონოდათ...

მაგრამ ფეხბურთი, საბედნიეროდ, მარტოოდენ მშრალი ლოგიკის კანონებით არ ცხოვრობს. აქ ხშირად ისეთი საპირისპირო ამბები ხდება, რომელთა წინასწარმეტყველება არ ძალუძს არავის, ამიტომაც იყო, რომ ბრემენის „ვერდერისა“ და თბილისის „დინამოს“ უეფა-ს მერვედფინალის ორმა მატჩმა ასეთი დიდი ინტერესი და ძაბულობა გამოიწვია, და თუ მათს საბოლოო შედეგს დადინჯებულად, რეალური ანალიზით, მოჭარბებულ ემოციათა გარეშე განვიხილავთ, შეგვიძლია უშეცდომოდ დავასკვნათ, რომ ეს იყო თანაბარი ბრძოლა, ბრძოლა, სადაც საბოლოო გამარჯვებულის საკითხი ბოლო წუთებამდე ბეწვზე ეკიდა. თბილისელებმა, არსებითად, არაფერი დაუთმეს გფრ-ის ჩემპიონატის ლიდერს და, ალბათ, ამიტომაც იყო „ვერდერის“ ფეხბურთელებმა თბილისის მატჩის დამთავრების შემდეგ სიხარულით კინაღამ დაახრჩვეს ერთმანეთი აქვე, მინდორზე, კლუბის ხელმძღვანელობა კი ვერაფრით ვერ მალავდა თავის მოჭარბებულ ემოციებს. თვალნათლივ ეტყობოდა, რომ სტუმრები არც მოელოდნენ წარმატებას 9 დეკემბრის მატჩში.

თბილისის „დინამოს“ აშკარა მიღწევა იყო ის, რომ ბრემენში მან მხოლოდ ანგარიშით 1:2 წააგო „ვერდერთან“. ამ საიმედო შედეგის შემდეგ შინ შეიძლებოდა სასურველ რევანშზე ფიქრი, მაგრამ თუ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც დინამოელებს და მათს მრავალრიცხოვან ქომაგებს სურდათ, ეს უმთავრესად ჩვენი გუნდის სისუსტეზე კი არა, „ვერდერის“ სიძლიერესა და მდიდარ რეზერვებზე მეტყველებს.

თბილისის „დინამოს“ პერსპექტივას ბრემენში მინიმალური სხვაობით წაგებული მატჩის შემდეგ ისიც დაემატა, რომ „ვერდერს“ გამოაკლდა თავისი სამი წამყვანი ფეხბურთელი. გუნდის მწვრთნელი ო. რეჰაგელი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, როცა ორი გაფრთხილების შედეგად არ შეეძლო მინდორზე გამოეყვანა წარმმართველი ნახევარმცველი ნორბერტ მაიერი, ტრავმის გამო თამაშში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო მცველმა გუნარ ზაუერმა და, ჩვენი აზრით, უმთავრესი კი ის იყო, რომ თბილისში ვერ ითამაშებდა კლუბის ყველაზე ძლიერი ფორვარდი ფრანკ ნოიბარტი, რომლის ამოუწურავი შესაძლებლობანი ყველამ კარგად ვიხილეთ მოსკოვის „სპარტაკთან“ ორივე მატჩში და თბილისელთა მიერ ბრემენში ჩატარებულ შეხვედრაშიც.

საქმე ისე წავიდა, რომ ო. რეჰაგელს მატჩის ოქმში სათადარიგოთა სიაში სულ სამი ფეხბურთელი ჰყავდა მარაგად: ორი — მინდვრისა და ერთიც — მეკარე, ე. ი. გერმანელებს ძალიან უჭირდათ.

ყველაფერი ეს, გარდა ამისა, საერთო ოპტიმისტური განწყობილება და 80 ათასი გულშემატკივრის ენერგიული მხარდაჭერა დინამოელებს წარმატების მიღწევის კარგ ფონს უქმნიდა.

ჩვენი აზრით, ერთ სერიოზულ ვითარებასაც უნდა მივაქციოთ საგანგებო ყურადღება. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მატჩისთვის სამზადისისას „ვერდერი“ ჩვენზე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლა გაცხარებული ჩემპიონატია და ბრემენის გუნდიც ფრიად მაღალი კვალიფიკაციის გუნდებს ეთამაშებოდა, თბილისის „დინამო“ კი იძულებული იყო სპარინგ-პარტნიორებად გამოეძებნა ამ შემთხვევისთვის მეორეხარისხოვანი რესპუბლიკის გუნდები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ფეხბურთს, როგორც მოგახსენეთ, დაუწერელი კანონებიც საკმარისად აქვს, დამთავრდა საპასუხო მატჩი და მეოთხედფინალში, როგორც ვხედავთ, „ვერდერი“ გავიდა.

თვით ეს თამაში, მისი მსვლელობა, საკმაოდ რთულია აღწერისთვის. ერთი კი ცხადია — თბილისის „დინამოს“ რომ შეძლებოდა შესვენების შემდეგაც ისე ეთამაშა, როგორც მანამდე, მეოთხედფინალის საგზურს იგი ბრემენელ ფეხბურთელებს არ გაატანდა. პირველ ტაიმში ჩვენი გუნდი აშკარად ჯობდა მეტოქეს, მეკარე რეკის საჯარიმო მოედანზე თბილისელები შეტევას წარმართავდნენ, 31-ე წუთზე გერმანელთა მეკარემ რეაქცია დააგვიანა სულაქველიძის დარტყმის შემდეგ და გაუშვა გოლი, რომელიც თბილისელთათვის სავსებით საკმარისი იყო გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად. მაგრამ დინამოელები მაინც განუწყვეტლივ უტევდნენ და მცირეოდნად მაინც რომ გამოეყენებინათ მეტოქის კართან შექმნილი მომენტები, საგაზაფხულო საზრუნავი ჩვენ გვექნებოდა და არა „ვერდერს“... სტუმრები ჯერ კიდევ მაშინ გადარჩნენ, როცა გურულმა ძელს მოახვედრა ბურთი, საუკეთესო შესაძლებლობები ჰქონდათ, აგრეთვე, შენგელიას, ჭედიას, ქეცბაიას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული და სულაქველიძის მიერ გატანილი გოლი დინამოელთათვის ერთადერთი და საბოლოო აღმოჩნდა ამ მატჩში. დასანანი კია: „დინამოს“ სრული უპირატესობა პირველი 45 წუთის განმავლობაში სულ სხვა შედეგით უნდა დამთავრებულიყო.

ასეა თუ ისე, პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენს საერთო ოპტიმიზმს თუ არ მოემატა, არაფერი მოკლებია, მაგრამ დაიწყო თამაშის მეორე ნახევარი და მინდორზე ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა. ეს უკვე ორი სხვა გუნდი იყო. თბილისის „დინამომ“ საგრძნობლად მოუკლო თამაშს, ხოლო „ვერდერმა“, პირიქით, ასევე მნიშვნელოვნად მოუმატა. დინამოელები აშკარად დაიღალნენ, მათს თამაშში სულ უფრო და უფრო მატულობდა შეცდომები, შეუსაბამობანი, ისინი სისწრაფეშიც ჩამორჩნენ სტუმრებს და ახლა უკვე ამ უკანასკნელთ მიეცათ ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა: ერთ-ერთი მათგანი როგორც იცით, 61-ე წუთზე საპასუხო გოლით დაამთავრა შააფმა. საინტერესოა, რომ „ვერდერის“ ეს გოლი სწორედ გუნდის შეტევის საფირმო ნიმუში იყო: მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული გადაცემა შააფმა მაღალ ნახტომში თავით მიიღო და კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა — 1:1.

„დინამოს“ ამის შემდეგაც მიეცა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, რაც, მინიმუმ, დამატებითი დროის დანიშვნის შესაძლებლობას მოგვცემდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დაღლილობა აშკარად უშლიდა ხელს ჩვენს გუნდს ისეთივე სიძლიერით ეთამაშა, როგორც მან დასაწყისში ითამაშა.

ერთი სიტყვით, ჩვენს იმედებს განხორციელება არ ეწერა. შვედი მსაჯის ბ. კარლსონის საფინალო სასტვენმა (სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ მან შესვენების შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა) წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს — 1:1, ორი შეხვედრის ჯამშიც უპირატესობა „ვერდერს“ ხვდა წილად.

ახლა ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმა შეიძლება „ვერდერ“-„დინამოს“ ამ ორი შეხვედრის თაობაზე, ფრიად დასანანია, რომ მეოთხედფინალში გავედით არა ჩვენ, არამედ ბრემენელები, თბილისის „დინამოს“ კი წარმატების რეალური შესაძლებლობანი ჰქონდა. მაგრამ იმისი სრული უფლება კი გვაქვს, რომ ვთქვათ, ჩვენმა გუნდმა აშკარად თავი დააღწია გასული წლის ხანგრძლივ, მძიმე კრიზისს, სეზონის დასასრული მან საუკეთესოდ ჩაატარა, სრული ძალით ამოქმედდნენ ვეტერანები, თვალსაჩინოდ დაწინაურდა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი. ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 1988 წლისთვის ჩვენი გუნდი მოღონიერდება, ნამდვილ სპორტულ ფორმაში ჩადგება და კვლავ დაიბრუნებს თავის პოზიციებს როგორც საბჭოთა, ისე საერთაშორისო ფეხბურთში. ჩვენი ეს იმედი, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არაა.

ბიჭიკო ქორქია.

გურულის ამ დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

წინადადება!

ვინ არიან ნამდვილი გულშემატკივრები?

„**ვერდერთან**“ დინამოელთა მატჩის წინ რედაქციაში ბევრი წერილი შემოვიდა. ბევრი გვირეკავდა, ზოგიერთმა პირდაპირ რედაქციაში მოგვაკითხა. გულშემატკივრებს აწუხებდათ სტადიონზე შესასვლელი ბილეთის პრობლემა. როგორც ცნობილია, „დინამოს“ დირექციამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო და სულ მალე დაამთავრა კიდეც ბილეთების გაყიდვა. თავდაპირველად ბილეთები იყიდებოდა სტადიონის სალაროებშიც, მაგრამ, ცხადია, ყველა ვერ დაკმაყოფილდა. მიზეზი ის იყო, რომ ბილეთების დიდი ნაწილი დარიგდა შრომით კოლექტივებში და უმაღლეს სასწავლებლებში. სტადიონის დირექციას არც გულშემატკივრების ცალკეული ჯგუფები დაუტოვებია უყურადღებოდ, მაგრამ, ვიმეორებთ, ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ამონაწერს ერთი ტიპიური წერილიდან, რომლის მსგავსი უამრავი მივიღეთ რედაქციაში: „როგორც თქვენს გაზეთში იყო გამოქვეყნებული, — გვწერს მშენებელი ინჟინერი ვ. ქებაძე — ბილეთების გაყიდვა 1 დეკემბრიდან დაიწყო სტადიონის სალაროებში, ჩვენ ორი ღამე ვათიეთ სალაროებთან და მაინც უბილეთოდ დავრჩით, ვის არ მივაკითხეთ, მაგრამ ამაოდ..“ ცხელ გულზე წერილის ავტორი ამგვარ უყურადღებობას უსამართლობას უწოდებს და დასძენს; „ვერდერთან“ მატჩზე ყველამ მოისურვა სტადიონზე წასვლა, ისინი კი, ვინც ადრე გაჭირვებაში მხარში ედგა „დინამოს“, უბილეთოდ რჩებიან“.

ამ წერილის შინაარსი მატჩამდე ორი დღით ადრე გავაცანით სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორს ვ. ყლენტს, რომელმაც გვითხრა, რომ გულშემატკივართა რამდენიმე ჯგუფი სტადიონის დირექციამ დააკმაყოფილა. ვიმედოვნებთ, მათ შორის ინჟინერ ვ. ქებაძის ჯგუფის წევრებიც იყვნენ. და აქვე ჩნდება წინადადება: რატომ არ უნდა ვიცოდეთ ვინ არიან ის მართლაც ნაღდი გულშემატკივრები, რომლებიც, ვ. ქებაძის თქმისა არ იყოს, გაჭირვებაში მხარში უდგანან „დინამოს“ და ყოველთვის ესწრებიან მის შეხვედრებს? უნდა ვიცოდეთ და უპირატესობაც უნდა მივცეთ მათ, ასეთები კი, პირველ ყოვლისა, ალბათ გულშემატკივართა ახალგახსნილმა კლუბმა უნდა შემოიკრიბოს.

„ლელოს“ წერილების განყოფილება.

მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა

დღეს, როგორც ცნობილია, ციურიხში შედგება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომა, სადაც მოეწყობა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა წილისყრა.

იტალიის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობას მიიღებს 24 უძლიერესი გუნდი: იტალია (მასპინძელი) და არგენტინა (მსოფლიო ჩემპიონი), წესის მიხედვით, უშუალოდ არიან დაშვებული ფინალურ ტურნირზე. საბოლოოდ, 14 გუნდი ევროპიდან იქნება, 3 — სამხრეთ ამერიკიდან, 2-2 — აზიიდან, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკიდან (მათ რიცხვში შედიან კარიბის აუზის გუნდებიც) და აფრიკიდან. კიდევ ერთ საგზურს გაითამაშებენ საკმაოდ რთული სისტემით: სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ უძლიერესის გასარკვევად; ფინალში მონაწილეობის საგზურისთვის იგი შეხვდება ოკეანიის ქვეყნების (მათ შორის ისრაელისაც) გუნდების ტურნირში გამარჯვებულს.

ევროპის გუნდებისთვის უკვე დაადგინეს ისინი, ვინც შესარჩევ ეტაპზე სხვადასხვა საკვალიფიკაციო ჯგუფში მოხვდებიან — გფრ, სსრ კავშირი, ესპანეთი, ინგლისი, დანია, ბელგია, საფრანგეთი. ეს გუნდები შეარჩიეს მექსიკის განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

უეფა-ს თასის მოულოდნელობანი

უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებში რამდენიმე ფრიად მოულოდნელი შედეგი აღინიშნა, კერძოდ, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ბელგიის „ბრიუგეს“ გამოსვლამ. დასავლეთ გერმანიის „ბორუსიასთან“ ამ გუნდმა დორტმუნდის სტადიონზე ანგარიშით 0:3 წააგო, შინ საპასუხო მატჩში კი „ბრიუგემ“ მატჩის ძირითად დროში გაათანაბრა ანგარიში — 3:3 (პირველი ბურთი გაიტანა კულემანსმა, შემდგომი ორი — ლ. ვან დერ ელსტმა). მსაჯმა დამატებითი დრო დანიშნა, აქ ფ. ვან დერ ელსტმა და ლ. ვან დერ ელსტმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს და ბელგიელებმა დამაჯერებელი რევანშით გზა გაიკაფეს მეოთხედფინალისკენ.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის მსვლელობისას ხულიგნურად მოიქცნენ დასავლეთგერმანელი გულშემატკივრები, რომელთაგან 56 კაცი დააპატიმრეს. ბევრ მათგანს თან ბომბები აღმოაჩნდა. მხოლოდ ბელგიის პოლიციის აქტიურობის წყალობით გახდა შესაძლებელი მძიმე ინციდენტის თავიდან აცილება.

ყველა განაცვიფრა საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ ძლიერმა თამაშმაც. ბერძენ ფეხბურთელებს უნგრეთის „ჰონვედთან“ პირველი მატჩი ანგარიშით 2:5 ჰქონდათ წაგებული, საპასუხო მატჩი მათ უკეთესი ანგარიშით მოიგეს — 5:1 და მეოთხედფინალში გავიდნენ. ბერძენ ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ვლახოსმა (2), ანტონიუმ, მავრიდისმა და ბატსინილასმა.

გთავაზობთ განვლილ ოთხშაბათს გამართულ საპასუხო შეხვედრათა შედეგებს:

უეფა-ს თასი

მერვედფინალი

„დინამო“ (თბილისი, სსრ კავშირი) — **„ვერდერი“ (ბრემენი, გფრ)** — 1:1 (1:2).

„ბრიუგე“ (ბელგია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) 5:0 (0:3)

„ესპანიოლი“ (ესპანეთი) — „ინტერი“ (იტალია) 1:0 (1:1)

„ფლიამურტარი“ (ალბანეთი) — **„ბარსელონა“ (ესპანეთი)** 1:0 (1:4).

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ჰონვედი“ (უნგრეთი) 5:1 (2:5)

„სპორტული“ (რუმინეთი) — **„ვერონა“ (იტალია)** 0:1 (1:3).

„ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ)— „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 1:0 (2:2)

„ვიტკოვიცე“ (ჩეხოსლოვაკია) — „გიმარაეში“ (პორტუგალია) 2:0 (0:2), დამატებითი პენალტებით — 5:4.

შენიშვნა: ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა შედეგები, ხაზგასმულია მეოთხედფინალში გასული გუნდები.

გათამაშების ეს ეტაპი ჩატარდება 1988 წლის გაზაფხულზე. ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალში 3-3 გუნდი გავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ესპანეთიდან და ბელგიიდან, 2-2 — საფრანგეთიდან, პორტუგალიიდან, ჰოლანდიიდან და იტალიიდან, თითო — სსრ კავშირიდან, რუმინეთიდან, შვეიცარიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ფინეთიდან და საბერძნეთიდან.

8 ფინალისტი

გამოვლინდა 1988 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მონაწილე და ახლა კონტინენტის პირველობის ყველა ფინალისტი ცნობილია.

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ მიაღწია იმას, რომ კიპროსის გუნდთან გადათამაშების უფლება მოიპოვა და ამსტერდამის სტადიონზე 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გამარჯვებას მიაღწია ანგარიშით 4:0 (2:0), 3 ბურთი გაიტანა ბოსმანმა, ერთიც — კოემანმა.

ასე რომ, საბერძნეთის ფეხბურთელებს გაუცრუვდათ იმის იმედი, რომ ისინი გადამწყვეტ მატჩს ითამაშებდნენ ჰოლანდიელებთან. ბოლო საგზურის ბედი 9 დეკემბერს გადაწყდა.

ევროპის V შესარჩევი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჰოლანდია	7	5	2	0	12-1	12
საბერძნეთი	7	4	1	2	12-10	9
უნგრეთი	8	4	0	4	13-11	8
პოლონეთი	8	3	2	3	9-11	8
კიპროსი	8	0	1	7	3-16	1

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ გფრ-ის, სსრ კავშირის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, ინგლისის, ჰოლანდიისა და დანიის გუნდები.

* * *

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი I ჯგუფის გუნდებს შორის: „დურუჯი" (ყვარელი) — „მერცხალი" (მახარაძე) — 1:3. ქუთაისში „იმერეთთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა თბილისის „იმედი"-„დინამო"-2.

* * *

დაიღუპა ფეხბურთელთა გუნდი

ლიმა, 10 დეკემბერი (საკდესი). პერუში კატასტროფა განიცადა ამ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა, რომელიც რეისს ასრულებდა ქ. პუკალპადან დედაქალაქ ლიმისკენ. აეროპორტ „ხორხე ჩავესზე" დაჯდომის წინ მფრინავებმა შეამჩნიეს, რომ დაზიანებული იყო ელექტრული გაყვანილობა და შასი. ეკიპაჟის მეთაურმა გადაწყვიტა თვითმფრინავი წყალზე დაესვა, მაგრამ ეს ცდა ტრაგედიით დამთავრდა, თვითმფრინავი წყალში ჩავარდა ნაპირიდან ათიოდე კილომეტრის მოშორებით.

თვითმფრინავში 57 კაცი იმყოფებოდა, მათ შორის საფეხბურთო კლუბს „ალიანს ლიმას" საფეხბურთო კლუბის სპორტული დელეგაცია 37 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში 16 ფეხბურთელი იყო და პერუს ამ ერთ-ერთი მოწინავე გუნდის უფროსი მწვრთნელი მარკოს კალდერონი. ფეხბურთელები შინ ბრუნდებოდნენ ქ. პუკალპას გუნდთან ჩატარებული მატჩის შემდეგ. „ალიანს ლიმამ" ეს თამაში მოიგო და სათავეში ჩაუდგა ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს.

პერუს შეიარაღებული ძალების საგანგებო მაშველი ძალები ეძებენ კატასტროფისგან დაზარალებულთ. შედეგები ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი არაა, გადაარჩინეს მხოლოდ თვითმფრინავის ერთი პილოტი, რომელიც მძიმე მდგომარეობაში მყოფი დააწვინეს ჰოსპიტალში. წყლიდან ამოიღეს ექვსი ფეხბურთელის გვამი. ძებნა გრძელდება.

ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

ორი გამოცდა

დასასრული

ნირის ლიდერთა თამაში. ამიტომ იყო, რომ ზემოთ დასახელებულ გუნდებს არ გასჭირვებიათ ბულგარელ, დასავლეთგერმანელ, იუგოსლაველ და ქართველ ხელბურთელთა დამარცხება.

ქართველმა ხელბურთელებმა ორი ერთმანეთის მსგავსი მატჩი ჩაატარეს. ორივე მატჩში მშვენივრად ითამაშეს მეკარეებმა ი. ცერცვაძემ და ქ. ხარაძემ. გამოვყოფდი აგრეთვე ვ. მიხუტას, ვ. ტიუნჩიკს და ვ. ჟუკს. ნაყოფიერად მოქმედებდნენ ვეტერანი ა. ტაბიძე და გ. დემეტრაშვილი. ესპანელებთან მატჩში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა დ. გიორგაძემ. დაცვაც აქტიური იყო, თანამედროვე — 3+3, მაგრამ თამაშის დროს, სამწუხაროდ, ხშირი იყო შეცდომები.

ჩვენი გუნდის თამაში ჯერ დასახვეწია. არასაკმარისია მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მდგრადობა 7-მეტრიანი საჯარიმოს ტყორცნის დროს, არის ხარვეზები გადაცემებში, იშვიათია მეკარეთა მიერ წამოწყებული პირველი შეტევები. მართალია, ეს მხოლოდ პირველი შეხვედრებია და ჯერ ნაადრევია დასკვნების გამოტანა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისელებს საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ელით.

თბილისელმა ხელბურთელებმა ორ დღეში ორი გამოცდა ჩააბარეს. ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან ბრძოლა ნებისმიერ საკლუბო გუნდს გაუჭირდება, მით უმეტეს, თუ გუნდს უჭირს, ძველებურად ველარ თამაშობს. მაგრამ თითოეული მოთამაშის ბრძოლის ჟინი და გამარჯვებისკენ სწრაფვა გარკვეულ იმედებს გვისახავს.

დაველოდოთ ხვალინდელ დღეს.

ჯემალ აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

გაგაცნობთ 10 დეკემბერს გამართული შეხვედრების შედეგებს: ბულგარეთი — რუმინეთი 23:24 (10:15), იუგოსლავია — ესპანეთი 12:31 (4:15), სსრკ — გფრ 28:17 (13:8). საქართველო — პოლონეთი 26:27 (14:16).

ბუშინ გაიმართა მესამე ტურის მატჩები: გფრ — ბულგარეთი 17:14 (9:8), ესპანეთი — პოლონეთი 18:25 (8:13), სსრკ — რუმინეთი 31:24 (14:12), იუგოსლავია — საქართველო 18:30 (8:20).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გიოტებორგი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო სეზონი დამთავრდება დევისის თასის გათამაშების ფინალური მატჩით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და ინდოეთის სპორტსმენები. სპეციალისტები ამ შეხვედრაში წარმატებას შვედებს უწინასწარმეტყველებენ, რომლებსაც შემადგენლობაში ჰყავთ მსოფლიოს მეორე და მესამე ჩოგნები — სტეფან ედბერგი და მათს ვილანდერი.

ხეული. ბულგარელმა ძალოსანმა მიხეილ პეტროვმა (67,5 კგ), მსოფლიო თასი მოიპოვა. ამასთან მან ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა: ატაცში — 158 კგ და ორჭიდის ჯამში —355 კგ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ამჯერადაც დაამტკიცა თავისი ძალა. მომავალ ოლიმპიურ სარბიელზე თავი გამოიჩინა მეორე ბულგარელმაც— ალექსანდრე ვირბანოვმა (75 კგ). მანაც ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: აკვრაში — 215,5 კგ და ორჭიდში —380 კგ.

დიუსელდორფში. ნოვოსიბირსკის „დინამოს" კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის მეორე მატჩიც მოიგო. ამჯერად მან გფრ-ის „აგონი" დაამარცხა — 91:68 (45:42). მომდევნო მატჩს ნოვოსიბირსკელები ჩაატარებენ იუგოსლავიაში ადგილობრივ „იადინსტვოსთან".

რიეკა. საბჭოთა კავშირის იუნიორ ხელბურთელთა გუნდი ინარჩუნებს ლიდერობას აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში. მორიგი მატჩი მან რუმინეთის გუნდს მოუგო — 24:13 (11:8). ჩვენს ხელბურთელებს ოთხი თამაშის შემდეგ 8 ქულა აქვთ, იმდენი, რამდენიც ტურნირის მასპინძლებს.

პარიზი. კალათბურთელ ქალთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ ტურნირში ადგილობრივმა „ვერსალმა" ჩეხოსლოვაკიის (პრაღა) „სპარტას" უმასპინძლა. გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 82:73. აღსანიშნავია, რომ ჩეხებმა ორივე სასტარტო შეხვედრა დათმეს.

რა ღირს ვარსკვლავი?

იტალიურმა საფეხბურთო ჟურნალმა „სუპერგოლმა", რომელიც მილანში გამოდის, გამოაქვეყნა იმ უცხოელი ფეხბურთელების სია, რომლებიც 1980-81 წლის სეზონიდან დაწყებული 1986-87 წლის ჩათვლით, იტალიის კლუბებში გამოდიოდნენ (უმრავლესობა დღესაც აგრძელებს იტალიაში თამაშს). 1980 წელს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებს კვლავ დართო ნება მოეწვიათ უცხოელი ფეხბურთელები. სიაში 40-მდე ფეხბურთელის გვარია. აქ თავმოყრილია მსოფლიოს ვარსკვლავები. ფეხბურთელები ჩამოთვლილია იმის მიხედვით, თუ რა დაუჯდათ კლუბებს მათი შეძენა (თანხა ნაანგარიშევია იტალიური ლირებით).

რა თქმა უნდა, ამ სიაში მსოფლიოს საფეხბურთო ელიტას მეთაურობს არგენტინელი სუპერვარსკვლავი დიეგო მარადონა. იმისათვის, რომ მარადონა „ნაპოლიში" გადასულიყო, გუნდის ხელმძღვანელობამ 1984 წელს 13 მილიარდი ლირა გადაუხადა ესპანეთის „ბარსელონას". დღეისათვის ეს არის ყველაზე სოლიდური თანხა, იმ გადასახადთა შორის, რაც მსოფლიოს რომელიმე კლუბს ფეხბურთელის შესაძენად გაუღია. სიაში მეორე ადგილზეა დასავლეთგერმანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე. მის შესაძენად 1984 წელს მილანის „ინტერმა" 8 მილიარდი ლირა გადაუხადა მიუნხენის „ბაიერნს". მესამე ადგილზეა ბრაზილიელი ზიკო, რომლის მიწვევა „უდინეზეს" 1983 წელს 6 მილიარდი ლირა დაუჯდა. ამდენივე გადაიხადა ზიკოს თანამემამულე სოკრატესის მოსაწვევად ფლორენციის „ფიორენტინამ".

ინგლისელი რეი უილკინსი 1984 წელს გადავიდა „მილანში". მისი კონტრაქტის ღირებულება იყო სამმილიარდნახევარი ლირა. შემდეგ მოდის 10 ფეხბურთელი, რომელთა შეძენა კლუბებს სამ-სამი მილიარდი ლირა დაუჯდათ. ესენი არიან: ბრაზილიელი პაულო რობერტო ფალკაო (1980 — „რომა"), მისი თანამემამულე სერეზო (1983 — „რომა"), ირლანდიელი ლიამ ბრეიდი (1980 — „იუვენტუსი"), ბრაზილიელი ჟუნიორი (1984 — „ტორინო"), შოტლანდიელი გრემ სუნესი (1984 — „სამპდორია"), პოლონელი ზბიგნევ ბონეკი (1982 — „იუვენტუსი"). არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დანიელ პასარელა (1982 — „ფიორენტინა"), დასავლეთგერმანელი ჰანს მიულერი (1982 — „ინტერი"), არგენტინელი რამონ დიასი (1982 — „ნაპოლი") და დანიის ნაკრების თავდამსხმელი მიქაელ ლაუდრუპი (1983 — „ლაციო").

ლაუდრუპის თანამემამულის, პრებენ ელკიაერ-ლარსენის შესაძენად 1984 წელს ვერონის „ელასმა" ორმილიარდნახევარი ლირა გადაიხადა. ამდენივე გაიღო „მილანმა" 1984 წელს ინგლისელი მარკ ჰეიტლის გადმოსაბირებლად.

სამ ფეხბურთელში კლუბებმა ორ-ორი მილიარდი ლირა გადაიხადეს. ესენი არიან ინგლისელი ფრენსისი (1982 — „სამპდორია"), ავსტრიელი შახნერი (1981 — „ჩეზენა") და დასავლეთგერმანელი ბრიგელი (1984 — „ელასი"). შარშან მილიარდ რვაასი მილიონი ლირა მისცეს შვედ ჯონი ექსტრიომს „ემპოლიში" გადასასვლელად. 1984 წელს „კომომ" მილიარდნახევარი ლირა დახარჯა მეორე შვედის, კორნელიუსონთან კონტრაქტის დასადებად. ამდენივე მოთხოვა ბრაზილიელმა ბრანკომ „ბრეშიას". არგენტინელი პედრო პაბლო პასკული 1985 წელს გადავიდა „ლეჩეში" — კონტრაქტი 1 200 000 ლირაზე დაიდო.

მომდევნო შვიდი ადგილი სიაში უჭირავთ ფეხბურთელებს, რომელთა შეძენა კლუბებს თითო მილიარდი ლირა დაუჯდათ: ინგლისელი ქოუნსი (1985 — „ბარი"), არგენტინელი ბერტონი (1980 — „ფიორენტინა"), ბრაზილიელი ედინიო (1982 — „უდინეზე"), შვედი სტრიომბერგი (1984 — „ატალანტა"), არგენტინელი ერნანდესი (1982 — „ტორინო"), ბრაზილიელი ბატისტა (1983 — „ლაციო") და პერუელი ბარბადილიო (1982 — „აველინო").

800 მილიონი ლირა გადაიხადეს: „ელასმა" 1984 წელს — დირსეუსათვის, „ბარიმ" 1985 წელს — ნაკლებად ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის რიდოტისთვის და „ლეჩემ" 1985 წელს — არგენტინელი ხუან ბარბასისათვის.

შვედ ლარსონთან (1984 — „ატალანტა"), ბრაზილიელ ჟუარესთან (1980 — „აველინო") და პოლონელ ჟმუდასთან (1984 — „ელასი") კონტრაქტების დადება 500-500 მილიონი ლირა დაჯდა.

ახლა ერთი კონტრაქტის შესახებ, რომლის ფინანსური მხარე საერთო ფონზე სენსაციურად გამოიყურება. სიაში ბოლო ადგილზეა მიშელ პლატინი, ვის შესაძენადაც „იუვენტუსმა" 1982 წელს მხოლოდ 260 მილიონი ლირა გადაიხადა.

მირიან ბარდაველიძე.

ფეხბურთი

ანკარა. აქ გაიმართა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი თურქეთისა და ბულგარეთის გუნდებს შორის. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ბულგარელებმა, ბურთები გაიტანეს პენევმა, სტოევმა და გიორგიევმა.

ამ ჯგუფში კვლავინდებურად წინაა სსრ კავშირის ნაკრები, რომელსაც 5 მატჩის შემდეგ 9 ქულა აქვს. ბულგარელებმა 5 მატჩში 6 ქულა დააგროვეს, ამდენივე ქულა აქვთ შვეიცარიელებს, მაგრამ 6 თამაშის შემდეგ.

უბერლანდია. ბრაზილიის ამ ქალაქში მასპინძელთა ეროვნულმა ნაკრებმა ჩილის გუნდი მიიღო და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ბრაზილიელთაგან ბურთები გაიტანეს ვალდომ და რენატომ.

„სპორტპროგნოზი"

48-ე ტირაჟის შედეგები
(28-29 ნოემბერი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 48-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 28-29 ნოემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.788.072 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (24) მოგებამ შეადგინა 2.992 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (752) — 191 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (8.939) — 56 მანეთი.

48 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 24 დეკემბრიდან 1988 წლის 24 იანვრამდე.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 6 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი 49--ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: გაიყიდა 1.613 081 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (76 ბარათი) მოგება 887 მანეთია, ოთხისთვის (2519) — 28, სამისთვის (34650) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: გაიყიდა 14.579 345 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4826) — 142, სამისთვის (163 911) — 8.

49-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება 21 დეკემბრიდან 1988 წლის 21 იანვრის ჩათვლით.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 12 დეკემბერი. ოქროყანის სპორტული ბაზა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). დასაწყისი 14 საათზე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ფიზკულტურისა და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტი საქსპორტსახკომის საწარმოო კომბინატთან ერთად 15 დეკემბერს სპორტის სასახლეში შეხვედრას უწყობს ქართული მხატვრული ფილმის „ხარება და გოგიას" შემოქმედებით კოლექტივს, მთავარი როლების შემსრულებლებს, გამოჩენილ სპორტსმენებს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ლ. თედიაშვილს, ო. ფხაკაძეს, მ. სალაძეს, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ა. მაისურაძეს.

საზეიმო ნაწილის შემდეგ ნაჩვენები იქნება ფილმი „ხარება და გოგია".

დასაწყისი 19 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68436

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07275